11691-15-5-2-202011261653

N 15-5/11691
26/11/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მ/შ-ს
ბატონ გოჩა ლორთქიფანიძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მოთხოვნის წარმოშობის ვადების ხელახლა გამოანგარიშების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გოჩა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N12 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის [redacted] საქმე. საქმის მასალებიდან გამოიკვეთა, რომ მისი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მოთხოვნის წარმოშობის ვადები შესაძლოა არასწორად იყოს გამოთვლილი და გადახედვას საჭიროებდეს.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N12 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის [redacted] N6626/20 განცხადება და საქმისწარმოების პროცესში მიღებული დოკუმენტები[1]:

- **სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე გამოტანილი განაჩენი**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 06 მარტის განაჩენით, [redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რომლის ათვლა დაიწყო 2017 წლის 29 ივლისიდან.

აღნიშნული განაჩენი უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განაჩენით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 19 ივნისის განჩინებით, მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივარი დასაშვებად არ იქნა ცნობილი.

- **სისხლის სამართლის [redacted] საქმეზე გამოტანილი განაჩენი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 02 ოქტომბრის განაჩენით, [redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (4 ეპიზოდი) და 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და საბოლოოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 6 თვის ვადით, რომლის ვადის ათვლა დაიწყო განაჩენის გამოტანიდან - 2018 წლის 02 ოქტომბრიდან და სასჯელის მოხდის ვადაში ჩაითვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2016 წლის 06 ივნისიდან - 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით.

აღნიშნული განაჩენი უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 07 ივნისის განაჩენით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის განჩინებით, მსჯავრდებულის ადვოკატების საკასაციო საჩივარი დასაშვებად არ იქნა.

- **ყველა განაჩენის მიხედვით სასჯელის განსაზღვრა**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე[2], რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 04 მარტის განჩინებით, რუსთავის საქალაქოს სასამართლოს 2018 წლის 06 მარტის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 02 ოქტომბრის

---

[1] მსჯავრდებულის მიერ წარმოდგენილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 04 მარტის განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის განჩინება, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ივლისის N692/გ და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივის 2020 წლის 31 ივლისის N07-5282 წერილებით წარმოდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N12 დაწესებულების 2020 წლის 21 ივლისის N175821/28 წერილი.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდებულის მიმართ რამდენიმე აღუსრულებელი განაჩენი არსებობს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულისთვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, [redacted] განესაზღვრა **თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით,** რომლის ათვლა დაიწყო განჩინების მიღების დღიდან - **2020 წლის 04 მარტიდან** და სასჯელის **ვადაში ჩაითვალა** პატიმრობასა და დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო - **2017 წლის 29 ივლისიდან 2020 წლის 04 მარტამდე და 2016 წლის 06 ივნისიდან 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით.**

აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის განჩინებით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

- **პენიტენციური დაწესებულების მიერ გამოთვლილი ვადები**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N12 დაწესებულების ინფორმაციით[3], მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის მოხდის ვადის დასასრულია: 2023 წლის 10 დეკემბერი. თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვისთვის საჭირო ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის თარიღია: 2022 წლის 22 იანვარი. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისთვის შუამდგომლობის წარდგენისთვის საჭირო ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადის დადგომის თარიღია: 2022 წლის 7 სექტემბერი. ზემოაღნიშნული ვადების გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია თბილისის სააპელაციოს სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის განჩინებით სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვლილი დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო: 2016 წლის 06 ივნისიდან 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით და 2017 წლის 29 ივლისიდან 2020 წლის 04 მარტამდე პერიოდი.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა.[4] მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლო ზუსტად განსაზღვრავს სასჯელის სახეს, ზომას და სასჯელის მოხდის ვადის დაწყებას. პირის დაკავების, პატიმრობის ყოფნის ვადა ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.[5]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების[6] მიხედვით, პატიმრების საზოგადოებაში თანდათანობით დაბრუნების მიზნის მიღწევა შესაძლებელია პატიმრის გათავისუფლების საცდელი ვადით, რომლის განმავლობაშიც ისინი ჯერაც ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, იმ პირობით, რომ ამგვარი ზედამხედველობა არ ევალება პოლიციას და იგი შერწყმულია ეფექტურ სოციალურ დახმარებასთან.

---

[3] 2020 წლის 21 ივლისის N175821/28 წერილი.

[4] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[5] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[6] მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076(LXII) რეზოლუციით. წესი 60.2

ციხის ევროპული წესების[7] მიხედვით, მსჯავრდებულებს უნდა შეატყობინონ მოსახდელი ვადისა და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობების შესახებ; პატიმრების საზოგადოებაში თავისუფალ, ჩვეულებრივი დაბრუნების მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაციის[8] თანახმად, პატიმრებმა უნდა იცოდნენ პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის და კრიტერიუმების შესახებ; მინიმალური პირობით გათავისუფლების უფლების მისაღებად მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონის შესაბამისად; შესაბამისმა ორგანოებმა უნდა წამოიწყონ აუცილებელი პროცედურა, რათა შესაბამისი ვადის დადგომისთანავე პირობით გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ვადიანი თავისუფლებით აღკვეთით მსჯავრდებულს (გარდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულისა) სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით[9] ან შინაპატიმრობით[10], თუ მან ფაქტობრივად მოიხადა მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი[11].

ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული (გარდა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულისა) შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა[12] და თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი[13].

ამასთან, თუ მსჯავრდებულმა (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ეს აცნობოს მსჯავრდებულს[14].

---

[7] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). პუნქტები 30.3; 107.2; 107.3.

[8] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობითი გათავისუფლების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე). პუნქტები: 5, 16, 17, 22.

[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის 3^1 ნაწილი.

[11] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[14] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი.

წინამდებარე საქმის ანალიზი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის განჩინებით, [redacted] საბოლოოდ განესაზღვრა **თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით,** რომლის ათვლა დაიწყო **2020 წლის 04 მარტიდან** და სასჯელის ვადაში ჩაითვალა პატიმრობასა და დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო - 2017 წლის 29 ივლისიდან 2020 წლის 04 მარტამდე და 2016 წლის 06 ივნისიდან 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით, რაც შეადგენს **3 წელს, 2 თვეს და 24 დღეს.**

მიუხედავად იმისა, რომ N12 პენიტენციური დაწესებულების წერილში[15] სწორად არის მითითებული სასჯელის მოხდის ვადის დასასრული (10.12.2023 წ.), უზუსტობა ფიქსირდება თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვისთვის და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისთვის საჭირო ვადებთან მიმართებით.

ა) თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მოთხოვნის წარმოშობა

N12 დაწესებულების პოზიციით, თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე მსჯავრდებულ [redacted] მიერ შუამდგომლობით ადგილობრივი საბჭოსთვის მიმართვისთვის საჭირო ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის თარიღია 2022 წლის 22 იანვარი.

[redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი მძიმე დანაშაულისთვის.[16] შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლა შესაძლებელია დანიშნული სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ.[17]

[redacted] სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის - 7 წლით თავისუფლების აღკვეთის **ვადის ნახევარი შეადგენს 3 წელს და 6 თვეს.** 2020 წლის 4 მარტის განჩინებით, [redacted] სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის ვადა, რაც შეადგენს **3 წელს, 2 თვეს და 24 დღეს.** ამრიგად, მსჯავრდებულს, 2020 წლის 4 მარტის მონაცემით, თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევრამდე დარჩენილი ჰქონდა **3 თვე და 6 დღე.**

შესაბამისად, მსჯავრდებულმა მოსახდელი სასჯელის ½ ფაქტობრივად მოიხადა **2020 წლის 10 ივნისს** და ამ თარიღიდან მას უფლება აქვს მიმართოს ადგილობრივ საბჭოს თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შუამდგომლობით, ხოლო საბჭომ უნდა განიხილოს შესაბამისი შუამდგომლობა.

ბ) პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის წარმოშობა

---

[15] 2020 წლის 21 ივლისის N175821/28 წერილი.

[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-7 წლამდე, მე-3 ნაწილი - თავისუფლების აღკვეთას 6-9 წლამდე და იმავე კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

[17] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

N12 დაწესებულების პოზიციით, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისთვის დაწესებულების მიერ ადგილობრივი საბჭოსთვის შუამდგომლობის წარდგენისთვის საჭირო ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადის დადგომის თარიღია 2022 წლის 7 სექტემბერი.

როგორც უკვე აღინიშნა, [redacted] მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. სასჯელის მოხდისგან მისი პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი[18]. [redacted] სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის - 7 წლით თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი შეადგენს **4 წელს და 8 თვეს.** 2020 წლის 4 მარტის განჩინებით, [redacted] სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის ვადა, რაც შეადგენს **3 წელს, 2 თვეს და 24 დღეს**. შესაბამისად, 2020 წლის 4 მარტის მდგომარეობით, მსჯავრდებულს აღნიშნულ ვადამდე დარჩენილი ჰქონდა **1 წელი, 5 თვე და 6 დღე.**

შესაბამისად, მსჯავრდებული მოსახდელი სასჯელის ორ მესამედს ფაქტობრივად მოიხდის **2021 წლის 10 აგვისტოს.** ამ თარიღის დადგომისთანავე, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, მიმართოს ადგილობრივ საბჭოს პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობით, ხოლო საბჭო ვალდებულია, განიხილოს შუამდგომლობა.

დასკვნა

ამდენად, აუცილებელია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ [redacted] სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვლილი პერიოდის გათვალისწინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, უზრუნველყოთ:

1. პენიტენციური დაწესებულების მიერ მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლების და თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის ვადების გამოანგარიშებისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისის განჩინებით სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვლილი პერიოდის (3 წელი 2 თვე და 24 დღე) გათვალისწინება (მსჯავრდებულის პირად საქმეში ასახვით);
2. ადგილობრივი საბჭოს მიერ თავისუფლების აღკვეთის უფროს მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე მსჯავრდებულ [redacted] შუამდგომლობის (შესაბამისი მიმართვისთანავე) განხილვა დაუყოვნებლივ, რადგან მან კანონით დადგენილი ვადა - დანიშნული სასჯელის ნახევარი - მოიხადა **2020 წლის 10 ივნისს**;
3. პენიტენციური დაწესებულების მიერ მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობით ადგილობრივი საბჭოსთვის მიმართვა

---

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

დადგენილ ვადაში, **2021 წლის 10 აგვისტოს**, რა დროისთვისაც მას მოხდილი ექნება კანონით დადგენილი ვადა - დანიშნული სასჯელის ორი მესამედი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 192 (ას ოთხმოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი